

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის სხდომის
ოქმი N 1

ქ. თელავი

2022 წლის 20 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, ივანე კირვალიძე, ზაზა ტატულიშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ანა ოთარაშვილი, ბადურ რევაზიშვილი, ეთერი გურგენაშვილი, ივანე დალაქიშვილი, გელა ესიტაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ დალუნდარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი მაია დათუნაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი შოთა ჩეკურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში ნიკოლოზ ლაშხი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მედეა

ჩაფურიშვილი, მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს: გ. ხაჭაპურიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს: გ. ხაჭაპურიძე

3. თელავის - მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს: გ. ხაჭაპურიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვას: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა.

მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საერთო სოციალური ფონის უკეთესობისკენ შეცვლა, უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამების წარმოდგენილი სახით დამტკიცების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეპროგრამების ფარგლებში გასაცემი დაფინანსების მოცულობა რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან 13%-ით არის გაზრდილი

ზადურ რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირისათვის (აბეჩხრიშვილი) ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 ლარის ოდენობითაა გაზრდილი მაგრამ არსებული საერთო სოციალური და ეკონომიური ფონიდან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა მისი უფრო მეტი ოდენობით გაზრდა.

გიორგი ენუქიძემ აღნიშნა, რომ რადგან სახელმწიფო ასუფსიდირებს 9 აპრილს დაზარალებულ პირებს, აქედან გამომდინარე ყოველთვიური ფინანსური დახმარება გავზარდეთ 50 ლარის ოდენობით.

მოქალაქე მაკა მოსიაშვილმა აღნიშნა, რომ შ.შ.მ. პირები (უსინათლოები), რომლებიც ითხოვენ ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, სარგებლობენ თუ არა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით.

შ.შ.მ. პირები (უსინათლოები), სარგებლობენ სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების, სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების პროგრამით.

რაც შეეხება მათ მოთხოვნას, ყოველთვიურ ფინანსურ დახმარების თაობაზე, რომ არ მოხდეს სხვა შ.შ.მ. პირების დისკრედიტაცია, აქედან გამომდინარე ვთხოვეთ პროექტი, რომელიც ჯერჯერობით არ წარმოდგენიათ აღნიშნა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვას: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, მან აღნიშნა, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გონიო-ავსაროსის მუზეუმ ნაკრძალში საჯარო და კერძო სკოლების წარჩინებული მოსწავლეების, მენტორ-მასწავლებლების არქეოლოგიური ბანაკის, კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედების პოლულარიზაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების და კულტურული ინიციატივების დაფინანსება.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს:3. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვას: მაია დათუნაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდულ ბანაკის, ახალგაზრდული პროექტების, ინიციატივების და ამ მიმართულებით სხვა სპორტულ-ახალგაზრდული მიზნობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:



გიორგი ხაჭაპურიძე